რეცენზია მონოგრაფიაზე „ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორმა **გიორგი ცაავამ** და ასისტენტ-პროფესორმა **ანა ბიბილურმა** დაამუშავეს მონოგრაფია: **ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში,** მონოგრაფია. - თბილისი, გამომცემლობა„დანი“, 2023. – 220 გვ. – ISBN 978-9941-789-00-7.

მონოგრაფიის მეცნიერ-რედაქტორია პროფესორო **რატი ბურდიაშვილი,** რეცენზენტები: პროფესორი **ვალერი მოსიაშვილი,** პროფესორი **მერაბ ვანიშვილი.**

მონოგრაფიაში განხილულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრობლემები და ფინანსური სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის თემები როგორც განვითარების დრაივერი და ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელი ელემენტი.

მონოგრაფიაში ჩამოყალიბებულია აქტუალური და სადისკუსიო საკითხები ფინანსურ სფეროში მისი ეფექტიანობის ამაღლების გზების მოძიების მიმართებაში, გაანალიზებულია პრობლემები და განსაზღვრულია შესაძლო რისკები და ქვეყნის ფინანსური სექტორის ციფროვიზაციის ახალი შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ახალი ციფრული ფინანსურ ტექნოლოგიებზე, მათი პრაქტიკული გამოყენებისა და საკანონმდებლო რეგულირების შესაზლებლობებზე.

მონოგრაფიაში განხილულია 15 თემა, როგორებიცაა: ციფრული ეკონომიკა: გარიგებების სამყარო შუამავლების გარეშე; ექსპერიმენტალური სამართლებრივი რეჟიმები ციფრული ეკონომიკის პირობებში; ციფრული ეკონომიკა: რისკები და შანსები ქვეყნისათვის; ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვის სამართლებრივი ასპექტები ფინანსურ სექტორში; ციფრული რეგულირება ციფრულ ეკონომიკაში როგორც გარღვევითი განვითარების პირობა; კოლექტიური დაფინანსება ციფრული ეკონომიკის ეპოქაში; ციფრული ეკონომიკის ზოგიერთი აქტუალური ასპექტები ფინანსურ სფეროში; ფინანსური ორგანიზაციების ურთიერთქმედება ელექტრონულ სახელმწიფოებრივ სერვისებთან: შეეგები და პერსპექტივები; რეგიონული ბანკების როლი ციფრულ ეკონომიკაში; პერსონალური მონაცემების სამართლებრივი დაცვის პრობლემები ფინანსურ სფეროში; ციფრული ტექნოლოგიები ფინანსურ სფეროში; სადაზღვეო მომსახურების ტრანსფორმაციის სამართლებრივი ასპექტები ციფრულ ეკონომიკაში; კრიპტოვალუტები და კრიპტოაქტივები სამართლებრივი და სამართალგამოყენებადი პრაქტიკა; ქვეყნის იურისდიქციული კინკურენტულობის უზრუნველყოფა მონაცემების ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში; საქართველოს ეროვნული ბანკის განაცხადი ახალი ფულადი ერტეული - „ციფრული ლარის“ შექმნასთან მიმართებაში.

მონოგრაფია შეიძლება გამოყენებული იქნას ქვეყნის ეკნომიკისციფრული ტრანსფორმაციის მიმართებაში ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის. იგი ასევე სასაეგებლოა საკანონმდებლო საქმიანობაში ციფრული ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის ფორმირებისათვის. მონგრაფია ასევე აქტუალურია ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის ციფრული ეკონომიკის ფინანსურ სფეროში ცოდნის გაღრმავებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:
ალეკო ქუთათელაძე